

საკრედიტო ოპერაციების და საკრედიტო პორტფელის ანალიზის მნიშვნელობა საბანკო რისკების მართვის პროცესში

საბანკო რისკების მართვის პროცესში გადამწყვეტი ადგილი უკავია საკრედიტო ოპერაციების ანალიზს.

მეანაბრეთა და აქციონერთა წინაშე ვალდებულებების შესრულებისთვის ბანკის ხელმძღვანელობის ყურადღება მიმართული უნდა იყოს ბანკის საკრედიტო ფუნქციების სწორად განხორციელებისკენ. ამ მიმართულებით აუცილებელია შესრულდეს სამი ძირითადი ამოცანა:

- ◆ სესხების გაცემა უნდა მოხდეს გონივრულად, მათი დაბრუნებადობის მაქსიმალური გარანტიებით.

- ◆ სესხები უნდა დაბანდებული იქნას მოგებიანად ინვესტირებისთვის და მფლობელებისთვის.

- ◆ სესხები უნდა აკმაყოფილებდეს ბიზნეს-მენტა და საოჯახო მეურნეობათა მოთხოვნებს.

საკრედიტო ოპერაციათა ანალიზის მიზანი უნდა იყოს საკრედიტო პროცესის შესაბამისობა ზემოთჩამოთვლილ ამოცანებთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია განისაზღვროს, რამდენად სწორად მიმდინარეობს დაკრედიტების პროცესი, სწორად არის თუ არა მათში ასახული ხელმძღვანელობის დირექტივები, ზუსტად სრულდება თუ არა ეს დირექტივები პერსონალის მიერ და ასევე დროულად და სრულყოფილად იღებენ თუ არა ინფორმაციას დაკრედიტების პროცესის ყველა მონაწილე რგოლი.

დაკრედიტების პროცესის მიზნობრივობა და სიზუსტე დამოკიდებულია ობიექტურ საკრედიტო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკის მისაღებ დონეს.

დაკრედიტების პროცესი უნდა მოიცავდეს როგორც ბანკის სხვადასხვა განყოფილებების მიერ შემუშავებული მეთოდის, ასევე საკრედიტო სახელმძღვანელოს დეტალურ ანალიზს, ასევე საკრედიტო პროცესის მონაწილე ყველა განყოფილების შესაძლებლობათა და რეალურ საქმიანობათა ანალიზს.

დაკრედიტების პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს სესხის ფორმირების, მათი შეფასების,

მაია ალადაშვილი

ი. გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

დამტკიცების, გაცემის, დაფარვის კონტროლის პროცესებს და სხვა საკრედიტო ინსტრუმენტებს.

საკრედიტო ოპერაციების ანალიზის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს:

- ◆ საკრედიტო ანალიზის და კრედიტის დამტკიცების დეტალური მეთოდოლოგია, საკრედიტო განაცხადის, სესხის შესახებ საფინანსო ინფორმაციის და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის ჩათვლით.

- ◆ სესხის დამტკიცების კრიტერიუმები, საკრედიტო ლიმიტის და საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრა, ასევე საკრედიტო კომიტეტების უფლებამოსილებების მკაცრი განსაზღვრა დონეების მიხედვით.

- ◆ საგირავნო პოლიტიკის განსაზღვრა თითოეული ტიპის სესხისათვის, ასევე გირაოს შეფასების მეთოდები და საჭირო დოკუმენტაცია.

- ◆ სესხის პროცედურების ადმინისტრირება პასუხისმგებელი პირების და კონტროლის მექანიზმების ჩათვლით.

- ◆ პრობლემურ სესხებთან მუშაობის მეთოდოლოგია.

საკრედიტო ოპერაციების ანალიზის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება **საკადრო სტრუქტურას**, რადგანაც ყველაზე დახვეწილი და დეტალური საკრედიტო პოლიტიკაც კი საბოლოო ჯამში მათ ხარისხიან და ზუსტ შესრულებაზე დაიყვანება, რასაც აუცილებლად ჭირდება კვალიფიციური, უნარიანი შემსრულებლები. ამისათვის აუცილებელია ყველა იმ კადრის შესწავლა და ანალიზი, ვისაც კი აქვს შესება კრედიტის ფორმირების, შეფასების, დამტკიცების, გაცემაზე და დაფარვაზე კონტროლის და სხვა დან-

არჩენ საკრედიტო ინსტრუმენტებთან, რომლებიც კი შესაძლებელია სასესხო ოპერაციების პროცესში. ამისათვის პერიოდულად, სისტემატურად უნდა ტარდებოდეს ტრენინგები და შეფასებები საკრედიტო ოპერაციებში მონაწილე თანამშრომლებისთვის, რადგანაც მათი სწავლების ხარისხი და სისწორე გარკვეულწილად არის მათი პროფესიონალიზმის დონის მაჩვენებელი.

საკრედიტო ოპერაციების ანალიზის დროს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია **საინფორმაციო ნაკადებს**. იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო ფუნქციები განაწილებულია საბანკო დაწესებულების თითქმის ყველა განყოფილებაზე და რგოლზე, ბანკს აუცილებლად უნდა გააჩნდეს დადგენილი დირექტივების ზუსტი შესრულების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა. შიდა ანალიზის და ანგარიშგების ეფექტიანი სისტემის შექმნით ბანკის გამგეობა და მენეჯმენტი მუდმივად უზრუნველყოფილია საკმარისი ინფორმაციით იმისთვის, რომ შეაფასოს ქვედა რგოლების მუშაობის ხარისხი, მათი დირექტივების შესრულების დონე, ასევე მუდმივად აკონტროლოს საკრედიტო პორტფელი, რათა დროულად შეძლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან მიმართებაში.

გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაცია გვევლინება საკრედიტო მართვის პროცესის ძირითად ელემენტად, აუცილებლად უნდა იქნას გაანალიზებული მისი ხარისხი და ეფექტიანობა დანახარჯების თვალსაზრისით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია საინფორმაციო ნაკადების კონტროლი ბანკის სხვადასხვა განყოფილებებს შორისაც იმისათვის, რომ დადგინდეს, რამდენად სრულყოფილი, რამდენად დროული და ეფექტიანია შემოსული ინფორმაცია. აღნიშნული ანალიზი ხშირად დაკავშირებულია პერსონალის ანალიზთან, სტრუქტურის და ინფორმაციული ტექნოლოგიების ორგანიზებასთან.

საბანკო რისკების მართვის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია **საკრედი-**

ტო პორტფელის ხარისხის ანალიზს. საკრედიტო პორტფელი ასახავს, უპირველეს ყოვლისა, ბანკის საბაზრო პოზიციას, ბიზნეს-სტრატეგიას და რისკების სტრატეგიას.

საკრედიტო პორტფელის ანალიზი და მისი მახასიათებლები, როგორც წესი, იძლევიან ბანკის საქმიანობის საკმარისად სრულ სურათს მისი პრიორიტეტების და იმ სასესხო რისკების სახეების შესახებ, რომლისთვისაც მზადაა ბანკი რომ გადალახოს.

საკრედიტო პორტფელის ანალიზისას აუცილებელია შემდეგი კომპონენტების გათვალისწინება:

- ◆ სესხის ძირითადი ტიპების ჩამონათვალი, კლიენტების რაოდენობის, სესხის საშუალო ვადების და საშუალო საპროცენტო განაკვეთების ჩათვლით.

- ◆ სასესხო პორტფელის განაწილება სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით, როგორებიცაა ვალუტის მიხედვით, დაფარვის ვადების მიხედვით, საქმიანობის სახეების მიხედვით, საკუთრების ფორმების მიხედვით და ასევე ინდივიდუალური და კორპორაციული კრედიტების მიხედვით. სასესხო პორტფელის დივერსიფიცირება მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის საკრედიტო რისკებს და გვევლინება მისი საქმიანობის ეფექტიანობის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად.

- ◆ სესხები სამთავრობო ან სხვა ტიპის გარანტიებით.

- ◆ სესხები რისკების ხარისხების მიხედვით.

- ◆ სესხები გარანტიების მიხედვით.

ანალიტიკოსების მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა საერთო საკრედიტო პორტფელის ყოველმხრივი შეფასებისა. ამ ანალიზის კონკრეტული ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სწორად იქნას დაგეგმილი სესხის ფორმირების, შემოწმების, ფინანსური ანალიზის, გირაოს, ვადების, გაცემის და სესხის უპრობლემო დაფარვის პროცედურები.

ბანკები, აღრიცხვა და აუდიტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა, თბილისი, სეპ-ის გ-ბა. 1996.
2. **Базел 2.** Обсуждение. «свободная энциклопедия». www.wikipedia.org
3. **Бабичева Ю.А.** Инфляционная составляющая операций банков: проблемы регулирования. Москва: издательство «Экономика», 2005
4. Грюнинг Хенни ван, Братанович Соня Брайович. Анализ банковских рисков. Система оценки корпоративного управления и управления финансовым риском. Москва: издательство „Весь Мир“. 2007.
5. **Эйкен Джон Вон.** Менеджмент. Руководство по выживанию. Москва: Альпина бизнес букс. 2009.

В анализ кредитной функции должно входить следующее: подробная методика кредитного анализа; процесс и критерии утверждения кредита; определения политики процентных ставок и кредитных лимитов; залоговая политика для всех видов кредитов; администрирование и отслеживание кредитных процедур; анализ кадров; информационные потоки и др. В управлении кредитного риска большое значение имеет анализ качества кредитного портфеля.

IMPORTANCE OF CREDIT OPERATIONS AND CREDIT PORTFOLIO ANALYSIS IN RISK MANAGEMENT

MAIA ALADASHVILI

assist.-prof. of Telavi I. Gogebashvili State University

The article reviews importance and mechanisms of credit operations planning and implementation. The Credit operations analysis should envisage the issues such as: detailed methods on credit approval, credit approval criteria, credit limits and interest rates, collateral policy for each loan type, loan administration, etc. Credit portfolio quality analysis is of paramount importance in Banking Risks Management.